# ქუქი-ჩანაწერები

## 1. შესავალი

### 1.1 რა არის „ქუქი-ჩანაწერი“?

„ქუქი-ჩანაწერები“ მცირე ზომის მონაცემთა ფაილებს წარმოადგენს, რომლებიც უნიკალურ იდენტიფიკატორებად გამოიყენება. აქედან გამომდინარე, თითოეული ქუქი-ჩანაწერი თქვენი ვებ-ბრაუზერის მიხედვით უნიკალურია. ქუქი-ჩანაწერი ანონიმურ ინფორმაციას შეიცავს და თქვენ მიერ დათვალიერებული ვებსაიტის სერვერიდან თქვენს კომპიუტერზე ან მობილურ მოწყობილობაზე იგზავნება. ის თქვენს მოწყობილობაზე შეინახება და მისი შიგთავსის მიღება ან წაკითხვა მხოლოდ აღნიშნულ სერვერს შეეძლება. ვებსაიტის დათვალიერებისას, გამოგზავნილი ქუქი-ჩანაწერების მონაცემები შეიძლება განახლდეს და ისევ ვებსაიტის სერვერებს დაუბრუნდეს.

ქუქი-ჩანაწერები შეიძლება განისაზღვროს როგორც იმ ვებსაიტის მიერ, რომელსაც სტუმრობთ („პირველი მხარის ქუქი-ჩანაწერები“), ისე სხვა ორგანიზაციის მიერ, რომელიც აღნიშნული ვებსაიტის მფლობელი არ არის („მესამე მხარის ქუქი-ჩანაწერები“). მაგალითად, ქუქი-ჩანაწერებს შეიძლება განსაზღვრავდეს მესამე მხარის ანალიტიკური კომპანია ან სხვა ვებსაიტები, რომლებიც თქვენ მიერ დათვალიერებული გვერდის კონტენტს უზრუნველყოფს. გარდა ამისა, თქვენ მიერ მონახულებული ვებსაიტი შეიძლება სხვა ვებსაიტიდან ჩაშენებულ კონტენტსაც შეიცავდეს, რა დროსაც, შესაძლოა, მსგავსი ვებსაიტები საკუთარ ქუქი-ჩანაწერებს განსაზღვრავდეს. ვებსაიტი შეიძლება მესამე მხარის სარეკლამო ქსელსაც იყენებდეს, რომელიც მიზნობრივ რეკლამას უზრუნველყოფს. ამგვარ ქუქი-ჩანაწერებს თქვენ მიერ სხვადასხვა ვებსაიტის დათვალიერების პროცესისთვის თვალის მიდევნება შეუძლია.

გამოარჩევენ ორი ტიპის ქუქი-ჩანაწერებს, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი.

#### სესიის ქუქი-ჩანაწერები

სესიის ქუქი-ჩანაწერები დათვალიერების სესიისას, დროებით ინახება, ხოლო ბრაუზერის დახურვის შემდეგ, ისინი თქვენი მოწყობილობიდან იშლება.

#### სისტემატური ქუქი-ჩანაწერები

ამ ტიპის ქუქი-ჩანაწერები თქვენს კომპიუტერზე გარკვეული დროის განმავლობაში ინახება (როგორც წესი, ერთი ან მეტი წელი) და ისინი ბრაუზერის დახურვისას არ იშლება. სისტემატური ქუქი-ჩანაწერები ვებსაიტის დათვალიერების სესიიდან სესიამდე თქვენი იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება, მაგალითად, თქვენი

პარამეტრების შესანახად, რათა შემდეგი სტუმრობისას მათი ხელახლა მითითება აღარ მოგიწიოთ.

## 2. რა გზით იყენებს Wizz Air ქუქი-ჩანაწერებს?

ჩვენი ვებსაიტი, wizzair.com, ქუქი-ჩანაწერებს იყენებს. ქუქი-ჩანაწერებს განათავსებს WIZZ Air Hungary Ltd. (იურიდიული მისამართი: 1103 Budapest, Laurus Offices, Kőér street 2/A, Building B; კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 01-09-964332; მონაცემთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რეგისტრაციის ნომერი: 01001 (შემდგომში „ჩვენ“, „ჩვენი“).

ჩვენ მიერ ქუქი-ჩანაწერები თქვენი, როგორც მომხმარებლის, გამოცდილების გასაუმჯობესებლად გამოიყენება, რაც ჩვენს ვებსაიტს თქვენი იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევს როგორც თქვენი მიმდინარე სტუმრობისას („სესიის ქუქი-ჩანაწერის“ მეშვეობით), ისე შემდგომი ვიზიტებისას („სისტემატური ქუქი-ჩანაწერის“ მეშვეობით). ჩვენ მიერ გამოყენებული ქუქი-ჩანაწერები შეიძლება:

(a) იყოს მკაცრად აუცილებელი, რათა ვებსაიტის ფარგლებში გადაადგილების ან ზოგიერთი მარტივი ფუნქციით სარგებლობის საშუალება გქონდეთ; ან
(b) აუმჯობესებდეს ჩვენი ვებსაიტის ფუნქციურობას, მაგალითად, თქვენი პარამეტრების შენახვის მეშვეობით. ქუქი-ჩანაწერები ინახავს თქვენს არჩევანს (მაგ., თქვენს მომხმარებლის სახელს ან ენას), რაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფუნქციების თქვენზე მორგების საშუალებას გვაძლევს; ან
(c) გვეხმარებოდეს ჩვენი ვებსაიტის წარმადობის გაუმჯობესებაში, მასთან თქვენი ინტერაქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ქუქი-ჩანაწერების მეშვეობით მოწოდებული ინფორმაცია ანონიმურია და იმის გაგებაში გვეხმარება, თუ როგორ იყენებენ სტუმრები ჩვენს ვებსაიტს, რაც, თავის მხრივ, ხელს გვიწყობს, უკეთ წარმოგიდგინოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონტენტი. როგორც წესი, ამ სერვისებს სტატისტიკური გამოთვლებისა და კვლევების დამოუკიდებელი კომპანიები უზრუნველყოფს. შესაბამისად, ქუქი-ჩანაწერები შეიძლება მესამე მხარის იყოს.

ქუქი-ჩანაწერების გარეშე, ყოველი ახალი გვერდის გახსნისას, ჩვენი ვებსაიტი ჩათვლიდა, რომ ახალი სტუმარი ხართ. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის შემდეგ, ახალ გვერდზე გადასვლისას, ვებსაიტი ვეღარ გიცნობდათ და სისტემაში შესულ მდგომარეობაში ვერ დარჩებოდით. გარდა ამისა, ქუქი-ჩანაწერები მეშვეობით, რეკლამის განმთავსებლებს საკუთარი რეკლამის ან მარკეტინგული შეტყობინებების სამიზნე აუდიტორიისთვის მიწოდების საშუალებას ვაძლევთ, რაშიც, მაგალითად, თქვენი მდებარეობის და/ან ვების თქვენთვის დამახასიათებელი დათვალიერების შესახებ ინფორმაცია გვეხმარება.

ჩვენი ვებსაიტის ეფექტურობის შესანარჩუნებლად და მეგობრული ინტერფეისის უზრუნველსაყოფად, ჩვენ ქუქი-ჩანაწერების სამივე კატეგორიის (მკაცრად აუცილებელი, ფუნქციურობის და წარმადობის ქუქი-ჩანაწერები) გამოყენება გვჭირდება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქუქი-ჩანაწერების დამოუკიდებლად გათიშვა შეუძლებელია და ჩვენი ვებსაიტის დათვალიერებისა თუ ჩვენი სერვისებით სარგებლობის გაგრძელებით, თქვენ თანხმობას აცხადებთ მასზედ, რომ ამგვარი ქუქი-ჩანაწერების თქვენს მოწყობილობაზე განთავსება შეგვიძლია.

ჩვენი ვებსაიტი ასევე იყენებს ონლაინ-ქცევაზე დამოკიდებულ სარეკლამო ქუქი-ჩანაწერებს, რომლებიც თქვენ მიერ ჩვენი ვებსაიტის ამა თუ იმ ნაწილის დათვალიერებისა და თქვენი IP-მისამართის გეოგრაფიული მდებარეობის საფუძველზე, Wizz Air-ს ნაჩვენები რეკლამის თქვენზე მორგებაში ეხმარება, რაც მას თქვენთვის მეტად შესაფერისს ხდის. აღნიშნული ქუქი-ჩანაწერების განთავსება, ჩვენი ნებართვით, მესამე მხარის სარეკლამო ქსელების მიერ ხორციელდება.

## 3. როგორ მოიქცეთ, თუ ქუქი-ჩანაწერების განსაზღვრა არ გსურთ

ქუქი-ჩანაწერების განთავსებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია. სურვილისამებრ, შეგიძლიათ დაბლოკოთ ზოგიერთი ან ყველა ქუქი-ჩანაწერი, ასევე წაშალოთ ის ქუქი-ჩანაწერები, რომლებიც უკვე განსაზღვრულია. სხვადასხვა ვებ-ბრაუზერში ქუქი-ჩანაწერების მართვის და/ან მათზე უარის თქმის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ მისამართზე: www.aboutcookies.org, ან

https://support.microsoft.com/en-us/help/17442/windows-internet-explorer-delete-manage-cookies (Internet Explorer-ისთვის), ან

http://support.mozilla.org/en-US/kb/enable-and-disable-cookies-website-preferences (Mozilla/Firefox-ისთვის)

https://support.google.com/chromeos/answer/95647?hl=en (Chrome-ისთვის)

http://www.opera.com/help/tutorials/security/privacy/ (Opera-სთვის)

https://support.apple.com/kb/PH21411 (Safari-სთვის)

თუმცაღა გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი ვებსაიტიდან გამოგზავნილი მკაცრად აუცილებელი, ფუნქციურობის და/ან წარმადობის ქუქი-ჩანაწერების დაბლოკვის ან წაშლის შემთხვევაში, ვებსაიტის მეშვეობით დაჯავშნას ვერ მოახერხებთ და თქვენი

მოთხოვნის დასამუშავებლად, ჩვენს საინფორმაციო ცენტრთან დაკავშირება დაგჭირდებათ.

შეგიძლიათ გაეცნოთ ქუქი-ჩანაწერების ტიპებს, რომლებიც Wizz Air-ის ვებსაიტზე გამოიყენება და მიიღოთ მეტი ინფორმაცია როგორც მათი პარამეტრების შეცვლის, ისე მათზე უარის თქმის შესახებ.

გარდა ამისა, შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ, ასევე ქუქი-ჩანაწერების განთავსებისას შეგროვებული თქვენი პირადი მონაცემების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესწორება, წაშლა ან დაბლოკვა. პირად მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების გაუთვალისწინებელი დარღვევის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ უნგრეთის მონაცემთა დაცვის ზედამხედველობით სამმართველოს (*Nemzeti Adatvédelmi és Információszabadság Hatóság*, 1125 Budapest, Szilágyi Erzsébet fasor 22/C.; ტელ.: +36-1+391-1400; ფაქსი: +36-1-391-1410; ელფოსტა: ugyfelszolgalat@naih.hu) ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თუ შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თქვენ ასევე შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ მონაცემთა დამუშავებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თქვენი უფლებებისა და უფლებათა დაცვის საშუალების შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებულია 2011 წლის კანონი CXII-ის „საინფორმაციო თვითგამორკვევისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ მე-13-17 ქვეთავებსა და 30-ე ქვეთავში.

## 4. შესავალი

### 1.1 რა არის „ქუქი-ჩანაწერი“?

„ქუქი-ჩანაწერები“ მცირე ზომის მონაცემთა ფაილებს წარმოადგენს, რომლებიც უნიკალურ იდენტიფიკატორებად გამოიყენება. აქედან გამომდინარე, თითოეული ქუქი-ჩანაწერი თქვენი ვებ-ბრაუზერის მიხედვით უნიკალურია. ქუქი-ჩანაწერი ანონიმურ ინფორმაციას შეიცავს და თქვენ მიერ დათვალიერებული ვებსაიტის სერვერიდან თქვენს კომპიუტერზე ან მობილურ მოწყობილობაზე იგზავნება. ის თქვენს მოწყობილობაზე შეინახება და მისი შიგთავსის მიღება ან წაკითხვა მხოლოდ აღნიშნულ სერვერს შეეძლება. ვებსაიტის დათვალიერებისას, გამოგზავნილი ქუქი-ჩანაწერების მონაცემები შეიძლება განახლდეს და ისევ ვებსაიტის სერვერებს დაუბრუნდეს.

ქუქი-ჩანაწერები შეიძლება განისაზღვროს როგორც იმ ვებსაიტის მიერ, რომელსაც სტუმრობთ („პირველი მხარის ქუქი-ჩანაწერები“), ისე სხვა ორგანიზაციის მიერ, რომელიც აღნიშნული ვებსაიტის მფლობელი არ არის („მესამე მხარის ქუქი-ჩანაწერები“). მაგალითად, ქუქი-ჩანაწერებს შეიძლება განსაზღვრავდეს მესამე მხარის ანალიტიკური კომპანია ან სხვა ვებსაიტები, რომლებიც თქვენ მიერ დათვალიერებული გვერდის კონტენტს უზრუნველყოფს. გარდა ამისა, თქვენ მიერ

მონახულებული ვებსაიტი შეიძლება სხვა ვებსაიტიდან ჩაშენებულ კონტენტსაც შეიცავდეს, რა დროსაც, შესაძლოა, მსგავსი ვებსაიტები საკუთარ ქუქი-ჩანაწერებს განსაზღვრავდეს. ვებსაიტი შეიძლება მესამე მხარის სარეკლამო ქსელსაც იყენებდეს, რომელიც მიზნობრივ რეკლამას უზრუნველყოფს. ამგვარ ქუქი-ჩანაწერებს თქვენ მიერ სხვადასხვა ვებსაიტის დათვალიერების პროცესისთვის თვალის მიდევნება შეუძლია.

გამოარჩევენ ორი ტიპის ქუქი-ჩანაწერებს, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი.

**სესიის ქუქი-ჩანაწერები**

სესიის ქუქი-ჩანაწერები, დათვალიერების სესიის განმავლობაში, დროებით ინახება, ხოლო ბრაუზერის დახურვის შემდეგ, ისინი თქვენი მოწყობილობიდან იშლება.

**სისტემატური ქუქი-ჩანაწერები**

ამ ტიპის ქუქი-ჩანაწერები თქვენს კომპიუტერზე გარკვეული დროის განმავლობაში ინახება (როგორც წესი, ერთი ან მეტი წელი) და ისინი ბრაუზერის დახურვისას არ იშლება. სისტემატური ქუქი-ჩანაწერები ვებსაიტის დათვალიერების სესიიდან სესიამდე თქვენი იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება, მაგალითად, თქვენი პარამეტრების შესანახად, რათა შემდეგი სტუმრობისას მათი ხელახლა მითითება აღარ მოგიწიოთ.

## 5. რა გზით იყენებს Wizz Air ქუქი-ჩანაწერებს?

ჩვენი ვებსაიტი, wizzair.com, ქუქი-ჩანაწერებს იყენებს. ქუქი-ჩანაწერებს განათავსებს WIZZ Air Hungary Ltd. (იურიდიული მისამართი: 1185 Budapest, BUD Nemzetközi Repülőtér (ბუდაპეშტის საერთაშორისო აეროპორტი) Building No. 221; კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 01-09-964332; მონაცემთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რეგისტრაციის ნომერი: 01001 (შემდგომში „ჩვენ“, „ჩვენი“).

ჩვენ მიერ ქუქი-ჩანაწერები თქვენი, როგორც მომხმარებლის, გამოცდილების გასაუმჯობესებლად გამოიყენება, რაც ჩვენს ვებსაიტს თქვენი იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევს როგორც თქვენი მიმდინარე სტუმრობისას („სესიის ქუქი-ჩანაწერის“ მეშვეობით), ისე შემდგომი ვიზიტებისას („სისტემატური ქუქი-ჩანაწერის“ მეშვეობით). ჩვენ მიერ გამოყენებული ქუქი-ჩანაწერები შეიძლება:

(d) იყოს მკაცრად აუცილებელი, რათა ვებსაიტის ფარგლებში გადაადგილების ან ზოგიერთი მარტივი ფუნქციით სარგებლობის საშუალება გქონდეთ; ან
(e) აუმჯობესებდეს ჩვენი ვებსაიტის ფუნქციურობას, მაგალითად, თქვენი პარამეტრების შენახვის მეშვეობით. ქუქი-ჩანაწერები ინახავს თქვენს არჩევანს (მაგ., თქვენს მომხმარებლის სახელს ან ენას), რაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფუნქციების თქვენზე მორგების საშუალებას გვაძლევს; ან
(f) გვეხმარებოდეს ჩვენი ვებსაიტის წარმადობის გაუმჯობესებაში, მასთან თქვენი ინტერაქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ქუქი-ჩანაწერების მეშვეობით მოწოდებული ინფორმაცია ანონიმურია და იმის გაგებაში გვეხმარება, თუ როგორ იყენებენ სტუმრები ჩვენს ვებსაიტს, რაც, თავის მხრივ, ხელს გვიწყობს, უკეთ წარმოგიდგინოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონტენტი. როგორც წესი, ამ სერვისებს სტატისტიკური გამოთვლებისა და

კვლევების დამოუკიდებელი კომპანიები უზრუნველყოფს. შესაბამისად, ქუქი-ჩანაწერები შეიძლება მესამე მხარის იყოს.

ქუქი-ჩანაწერების გარეშე, ყოველი ახალი გვერდის გახსნისას, ჩვენი ვებსაიტი ჩათვლიდა, რომ ახალი სტუმარი ხართ. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის შემდეგ, ახალ გვერდზე გადასვლისას, ვებსაიტი ველარ გიცნობდათ და სისტემაში შესულ მდგომარეობაში ვერ დარჩებოდით. გარდა ამისა, ქუქი-ჩანაწერების მეშვეობით, რეკლამის განმთავსებლებს საკუთარი რეკლამის ან მარკეტინგული შეტყობინებების სამიზნე აუდიტორიისთვის მიწოდების საშუალებას ვაძლევთ, რაშიც, მაგალითად, თქვენი ადგილმდებარეობის და/ან ვების თქვენთვის დამახასიათებელი დათვალიერების შესახებ ინფორმაცია გვეხმარება.

ჩვენი ვებსაიტის ეფექტურობის შესანარჩუნებლად და მეგობრული ინტერფეისის უზრუნველსაყოფად, ჩვენ ქუქი-ჩანაწერების სამივე კატეგორიის (მკაცრად აუცილებელი, ფუნქციურობის და წარმადობის ქუქი-ჩანაწერები) გამოყენება გვჭირდება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქუქი-ჩანაწერების დამოუკიდებლად გათიშვა შეუძლებელია და ჩვენი ვებსაიტის დათვალიერებისა თუ ჩვენი სერვისებით სარგებლობის გაგრძელებით, თქვენ თანხმობას აცხადებთ მასზედ, რომ ამგვარი ქუქი-ჩანაწერების თქვენს მოწყობილობაზე განთავსება შეგვიძლია.

ჩვენი ვებსაიტი ასევე იყენებს ონლაინ-ქცევაზე დამოკიდებულ სარეკლამო ქუქი-ჩანაწერებს, რომლებიც თქვენ მიერ ჩვენი ვებსაიტის ამა თუ იმ ნაწილის დათვალიერებისა და თქვენი IP-მისამართის გეოგრაფიული მდებარეობის საფუძველზე, Wizz Air-ს რეკლამის თქვენზე მორგებაში ეხმარება, რაც მას თქვენთვის მეტად შესაფერისს ხდის. აღნიშნული ქუქი-ჩანაწერების განთავსება, ჩვენი ნებართვით, მესამე მხარის სარეკლამო ქსელების მიერ ხორციელდება.

## 6. როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ქუქი-ჩანაწერების განსაზღვრა არ გსურთ

ქუქი-ჩანაწერების განთავსებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია. სურვილისამებრ, შეგიძლიათ დაბლოკოთ ზოგიერთი ან ყველა ქუქი-ჩანაწერი, ასევე წაშალოთ ის ქუქი-ჩანაწერები, რომლებიც უკვე განსაზღვრულია. სხვადასხვა ვებ-ბრაუზერში ქუქი-ჩანაწერების მართვის და/ან მათზე უარის თქმის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ მისამართზე: www.aboutcookies.org, შემდეგ ბმულებზე

http://windows.microsoft.com/en-us/windows7/block-enable-or-allow-cookies (Internet Explorer-ისთვის)

http://support.mozilla.org/en-US/kb/enable-and-disable-cookies-website-preferences (Mozilla/Firefox-ისთვის)

https://support.google.com/chromeos/answer/95647?hl=en (Chrome-ისთვის)

http://www.opera.com/help/tutorials/security/privacy/ (Opera-სთვის)

http://support.apple.com/kb/ph5042 (Safari-სთვის)

თუმცაღა გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი ვებსაიტიდან გამოგზავნილი მკაცრად აუცილებელი, ფუნქციურობის და/ან წარმადობის ქუქი-ჩანაწერების დაბლოკვის ან წაშლის შემთხვევაში, ვებსაიტის მეშვეობით დაჯავშნას ვერ მოახერხებთ და თქვენი მოთხოვნის დასამუშავებლად ჩვენს საინფორმაციო ცენტრთან დაკავშირება დაგჭირდებათ.

შეგიძლიათ გაეცნოთ ქუქი-ჩანაწერების ტიპებს, რომლებიც Wizz Air-ის ვებსაიტზე გამოიყენება და მიიღოთ მეტი ინფორმაცია როგორც მათი პარამეტრების შეცვლის, ისე მათზე უარის თქმის შესახებ.

გარდა ამისა, შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ, ასევე ქუქი-ჩანაწერების განთავსებისას შეგროვებული თქვენი პირადი მონაცემების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესწორება, წაშლა ან დაბლოკვა. პირად მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების გაუთვალისწინებელი დარღვევის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ უნგრეთის მონაცემთა დაცვის ზედამხედველობით სამმართველოს (*Nemzeti Adatvédelmi és Információszabadság Hatóság*, 1125 Budapest, Szilágyi Erzsébet fasor 22/C.; ტელ.: +36-1+391-1400; ფაქსი: +36-1-391-1410; ელფოსტა: ugyfelszolgalat@naih.hu) ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თუ შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თქვენ ასევე შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ მონაცემთა დამუშავებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თქვენი უფლებებისა და უფლებათა დაცვის საშუალების შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებულია „საინფორმაციო თვითგამორკვევისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ 2011 წლის CXII კანონის მე-13-17 ქვეთავებსა და 30-ე ქვეთავში.

## Wizz Air-ის ვებსაიტის მიერ გამოყენებული ქუქი-ჩანაწერების ტიპები

### 1.1 მკაცრად აუცილებელი ქუქი-ჩანაწერები

ამ ტიპის ქუქი-ჩანაწერები მკაცრად აუცილებელია და როგორც ვებსაიტის ფარგლებში გადაადგილების, ისე დაჯავშნის პროცესის დროს თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციების გამოყენების საშუალებას გაძლევთ (მაგ., თქვენი WIZZ ანგარიშის გამოყენება). ამ ქუქი-ჩანაწერების მეშვეობით, ვებ-სერვერები ჩვენს ვებსაიტზე თქვენს ქმედებებზე რეაგირებს და დაჯავშნის პროცესის მიმდინარეობისას, ჩვენი ვებსაიტის დათვალიერების საშუალებას იძლევა. მათ გარეშე, დაჯავშნის ნაკადი ვერ იმუშავებს. გარდა ამისა, განახლებული და შეწყობილი ინფორმაციის უზრუნველყოფის გზით, აღნიშნული ქუქი-ჩანაწერები მომხმარებლის მიერ Wizz Air-ის ვებსაიტით სარგებლობის პროცესს თანმიმდევრულს ხდის. ისინი wizzair.com-ზე კონტენტის ჩატვირთვის ბალანსირებასაც ახდენენ რითაც ვებსაიტის ოპტიმალურ სიჩქარესა და წარმადობას უზრუნველყოფენ.

**Wizz Air-ის ვებსაიტის მიერ განსაზღვრული მკაცრად აუცილებელი ქუქი-ჩანაწერები დაჯავშნის პროცესის მიმდინარეობისას**

| ქუქი-ჩანაწერის სახელი | დანიშნულება |
|---|---|
| ASP.NET_SessionId | ეს ქუქი-ჩანაწერი Wizz Air-ის ვებსაიტზე შესვლის საშუალებას გაძლევთ. ბრაუზერის სესიის დასრულების შემდეგ, აღნიშნული ქუქი-ჩანაწერი ამოიშლება. |

### 1.2 ფუნქციურობის ქუქი-ჩანაწერები

თქვენი პარამეტრების შენახვის მეშვეობით, ეს ქუქი-ჩანაწერები ჩვენი ვებსაიტის ფუნქციურობას აუმჯობესებს. ფუნქციურობის ქუქი-ჩანაწერები ინახავს თქვენს არჩევანს (მაგ., თქვენს მომხმარებლის სახელს ან ენას), რაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფუნქციების თქვენზე უკეთ მორგების საშუალებას გვაძლევს.

**Wizz Air-ის ვებსაიტის მიერ განსაზღვრული ფუნქციურობის ქუქი-ჩანაწერების მაგალითები**

| ქუქი-ჩანაწერის სახელი | დანიშნულება |
|---|---|
| Culture | ეს ქუქი-ჩანაწერი თქვენი ბოლო სტუმრობისას არჩეული ენის დამახსოვრების საშუალებას იძლევა და მისი მოქმედების ვადა ერთ წელიწადში იწურება. |

### 1.3 წარმადობის ქუქი-ჩანაწერები

ეს ქუქი-ჩანაწერები შიდა მიზნებისთვის გამოიყენება, რაც ვებსაიტის წარმადობის გაუმჯობესებაში და მომხმარებლის ვებსაიტთან ინტერაქციის ხარისხის გაზრდაში გვეხმარება. ქუქი-ჩანაწერების მეშვეობით მოწოდებული ინფორმაცია ანონიმურია და იმის გაგებაში გვეხმარება, თუ როგორ იყენებენ სტუმრები Wizz Air-ის ვებსაიტებს, რაც, თავის მხრივ, ხელს გვიწყობს, უკეთ წარმოგიდგინოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონტენტი. როგორც წესი, ამ სერვისებს სტატისტიკური გამოთვლებისა და კვლევების დამოუკიდებელი კომპანიები უზრუნველყოფს. შესაბამისად, ქუქი-ჩანაწერები შეიძლება მესამე მხარის კომპანიის მიერ იყოს განსაზღვრული („მესამე მხარის ქუქი-ჩანაწერები“). მესამე მხარის ქუქი-ჩანაწერები და მათ მიღებაზე უარის თქმის ხერხები ქვემოთ მოცემულ სიაშია აღწერილი. გაითვალისწინეთ, რომ ამ ქუქი-ჩანაწერების გათიშვის შემთხვევაში, ვებსაიტით სარგებლობას ვერ მოახერხებთ და ავიაბილეთის დასაჯავშნად, ჩვენს საინფორმაციო ცენტრთან დაკავშირება დაგჭირდებათ.

**WIZZ AIR-ის ვებსაიტისა და ჩვენი მომწოდებლების მიერ განსაზღვრული წარმადობის ქუქი-ჩანაწერების მაგალითები**

| **Wizz Air-ის ქუქი-ჩანაწერის სახელი ან მომწოდებელი** | **დანიშნულება** |
|---|---|
| Google Analytics | ამ ვებ-ანალიზის სერვისს Google, Inc. უზრუნველყოფს. ქუქი-ჩანაწერი გამოიყენება Google Analytics-ის მიერ, სხვადასხვა სერვისით სარგებლობის შესაფასებლად და ჩვენთვის ანგარიშის მოსამზადებლად.<br><br>**Google Analytics-ის ქუქი-ჩანაწერებზე უარის თქმა.** |
| __utma | Google Analytics-ის ქუქი-ჩანაწერი. როგორც წესი, ეს ქუქი-ჩანაწერი ბრაუზერში ჩვენი ვებსაიტის პირველი სტუმრობისას იწერება. ბრაუზერის ოპერატორის მიერ აღნიშნული ქუქი-ჩანაწერის წაშლის და ამავე ბრაუზერით ჩვენი ვებსაიტის ხელახლა მონახულების შემთხვევაში, ჩაიწერება ახალი __utma ქუქი-ჩანაწერი, რომელსაც სხვა უნიკალური იდენტიფიკატორი ექნება. უმეტეს შემთხვევაში, ეს ქუქი-ჩანაწერი ჩვენი ვებსაიტის უნიკალური სტუმრების გამოსავლენად გამოიყენება და ის თითოეული გვერდის მონახულებისას ახლდება. გარდა ამისა, აღნიშნულ ქუქი-ჩანაწერს უნიკალური იდენტიფიკატორი გააჩნია, რომლის მეშვეობითაც, უსაფრთხოების დამატებითი ზომის სახით, Google Analytics ქუქი-ჩანაწერის სისწორესა და ხელმისაწვდომობას ამოწმებს. მისი მოქმედების ვადა განსაზღვრიდან/განახლებიდან ორ წელიწადში იწურება. |
| __utmb | Google Analytics-ის ქუქი-ჩანაწერი. ეს ქუქი-ჩანაწერი ჩვენს ვებსაიტზე მომხმარებლის სესიის დასაწყებად და შესანარჩუნებლად გამოიყენება. მომხმარებლის მიერ ვებსაიტის ამა თუ იმ გვერდის მონახულებისას, Google Analytics-ის კოდი აღნიშნული ქუქი-ჩანაწერის განახლებას ცდილობს. თუ ქუქი-ჩანაწერი ვერ მოიძებნება, ჩაიწერება ახალი, რითაც ახალი სესია გაეშვება. მომხმარებლის მიერ ვებსაიტის სხვადასხვა გვერდის ყოველი მონახულებისას, აღნიშნული ქუქი-ჩანაწერის |

| | |
|---|---|
| | მოქმედების ვადა ახლდება და 30 წუთით განისაზღვრება. შესაბამისად, ცალკეული სესია გრძელდება 30-წუთიანი ინტერვალებით, სანამ მომხმარებლის მხრიდან გარკვეული აქტივობა შეინიშნება. ამ ქუქი-ჩანაწერის მოქმედების ვადა იწურება მაშინ, როცა მომხმარებელი ვებსაიტის გვერდთან ინტერაქციას 30 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში შეაყოვნებს. მომხმარებლის სესიის ნაგულისხმევი ხანგრძლივობის შეცვლა _setSessionCookieTimeout() მეთოდის მეშვეობით არის შესაძლებელი. ქუქი-ჩანაწერის მოქმედების ვადა განსაზღვრიდან/განახლებიდან 30 წუთში იწურება. |
| __utmc | Google Analytics-ის ქუქი-ჩანაწერი. ეს ქუქი-ჩანაწერი ga.js თვალის მიდევნების კოდის მიერ სესიის სტატუსის დადგენის მიზნით აღარ გამოიყენება. უწინ, აღნიშნული ქუქი-ჩანაწერი __utmb ქუქი-ჩანაწერთან ერთად მოქმედებდა და ადგენდა, საჭირო იყო თუ არა მომხმარებლისთვის ახალი სესიის წამოწყება. იმ ვებსაიტებთან უკუთავსებადობის მიზნით, რომლებიც urchin.js თვალის მიდევნების კოდს ჯერ კიდევ იყენებს, აღნიშნული ქუქი-ჩანაწერის ჩაწერა კლავ გაგრძელდება, ხოლო მისი მოქმედების ვადა მომხმარებლის მიერ ბრაუზერიდან გამოსვლის შემდეგ ამოიწურება. მიუხედავად ამისა, თუ თქვენი ვებსაიტისთვის თვალის მიდევნების შეცდომების აღმოფხვრას აწარმოებთ და ga.js თვალის მიდევნების კოდს იყენებთ, ახალ ან ამოწურულ სესიასთან მიმართებაში, ამ ქუქი-ჩანაწერის არსებობა არ უნდა გაითვალისწინოთ. |
| __utmz | Google Analytics-ის ქუქი-ჩანაწერი. ეს ქუქი-ჩანაწერი ინახავს ინფორმაციას იმ რეფერალის ტიპის შესახებ, რომელიც მომხმარებლის მიერ ვებსაიტზე გადმოსასვლელად იყო გამოყენებული: პირდაპირი მეთოდი, რეფერალური ბმული, ვებსაიტზე ძიება ან სარეკლამო კამპანია (მაგ., რეკლამა ან ბმული ელფოსტაში). ის საძიებო სისტემის ტრაფიკის, სარეკლამო კამპანიების და ვებსაიტის გვერდებს შორის ნავიგაციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება. ქუქი-ჩანაწერი ვებსაიტის გვერდის ყოველ მონახულებაზე ახლდება. მისი მოქმედების ვადა განსაზღვრიდან/ განახლებიდან 6 თვეში იწურება. |
| median_count | თვალის მიდევნების სკრიპტის ქუქი-ჩანაწერი. მისი მეშვეობით, სტუმრების რაოდენობისა და მონახულებული გვერდების შესახებ ინფორმაციის მიღება არის შესაძლებელი. |

### 1.4 ონლაინ-ქცევაზე დამოკიდებული სარეკლამო ქუქი-ჩანაწერები

ამ ტიპის ქუქი-ჩანაწერები რეკლამის ცალკეულ მომხმარებელზე მოსარგებად გამოიყენება. ამ ქუქი-ჩანაწერების მიზანია, რეკლამა მომხმარებლისთვის მაქსიმალურად შესაფერისი იყოს, რისთვისაც ისეთი მონაცემები გამოიყენება,

როგორიცაა ინფორმაცია მომხმარებლის მიერ ვებსაიტის ამა თუ იმ ნაწილის დათვალიერების შესახებ და IP-მისამართის საფუძველზე დადგენილი გეოგრაფიული მდებარეობა. აღნიშნული ქუქი-ჩანაწერების განთავსება, ჩვენი ნებართვით, მესამე მხარის სარეკლამო ქსელების მიერ ხორციელდება. ონლაინ-ქცევაზე დამოკიდებული სარეკლამო ქუქი-ჩანაწერების და მათზე უარის თქმის საშუალებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მოინახულოთ: http://www.youronlinechoices.eu/.

**მომხმარებლებისთვის განსაზღვრული, ონლაინ-ქცევაზე დამოკიდებული სარეკლამო ქუქი-ჩანაწერების მაგალითები**

| **მომწოდებელი** | **ქუქი-ჩანაწერების აღწერა და გამოყენების მიზნები** |
|---|---|
| Adara Media | ქუქი-ჩანაწერების საფუძველზე შექმნილი მომხმარებელთა პროფილების მეშვეობით, Adara მიზნობრივი რეკლამის ჩვენებას ახორციელებს. მსგავსი რეკლამა მაქსიმალურად მორგებულია მომხმარებელზე, რადგან ის www.wizzair.com-ზე მომხმარებლის ბოლო ძიებებსა და დაჯავშნასთან დაკავშირებულ ქცევას ითვალისწინებს.<br>მომხმარებლის მიერ www.wizzair.com-ის პირველად მონახულების და ამ ქუქი-ჩანაწერის განსაზღვრის თაობაზე თანხმობის დაფიქსირების შემთხვევაში, მომხმარებლის ვებ-ბრაუზერში ქუქი-ჩანაწერი შეიქმნება. ქუქი-ჩანაწერი მხოლოდ უნიკალურ იდენტიფიკატორს შეიცავს (მაგ., ABC12345), რომლის მეშვეობითაც, Adara ვებში მომხმარებლის იდენტიფიკაციას ახდენს. გამომდინარე იქიდან, რომ Adara არ აგროვებს ისეთ ინფორმაციას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლის ვინაობის დადგენა იქნება შესაძლებელი, ქუქი-ჩანაწერი კონკრეტული პიროვნების სახელთან, მისამართთან ან სხვა ტიპის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებული ვერ იქნება. Adara-ს მიერ მესამე მხარის ვებსაიტზე სტუმრის იდენტიფიკაციის შემდეგ, მას მომხმარებლისთვის საინტერესო რეკლამის ჩვენება შეუძლია. |
| Appnexus | თვალის ამგვარი მიდევნების დანიშნულებას წარმოადგენს ქცევითი ტარგეტინგი (ამ დროს, თვალის მიდევნების კოდი კითხულობს ე.წ. „სეგმენტის პიქსელს“) და წარმადობისთვის თვალის მიდევნება<br>(ამ დროს, თვალის მიდევნების კოდი კითხულობს ე.წ. „კონვერსიის პიქსელს“).<br>ქუქი-ჩანაწერების სახელები: sess (სესიის მოქმედების ვადა: 1 თვე), uuid2 (სესიის მოქმედების ვადა: 3 თვე), anj. (სესიის მოქმედების ვადა: 3 თვე). უარის თქმის ვარიანტები: http://appnexus.com/platform-policy#choices |

| | |
|---|---|
| Gravity | ამგვარი ქუქი-ჩანაწერები Wizz Air-მა შეიძლება სხვა ვებსაიტებზე გამოიყენოს და ონლაინ-რეკლამა თქვენი დათვალიერების ისტორიის საფუძველზე გარდაქმნას. მათი მეშვეობით, რეკლამის განმთავსებელს შეუძლია ინფორმაციის შეგროვება იმის შესახებ, თუ რომელი ვებსაიტები მოინახულეთ, რა ტიპის რეკლამა იხილეთ და რომელ რეკლამას დააწკაპუნეთ. ამ სერვისის გათიშვა შესაძლებელია მისამართზე: http://api.worldgravity.com/static/optout.html |

## 7. Wizz Air-ის პარტნიორები

თქვენ მიერ ჩვენი პარტნიორების ვებსაიტებით სარგებლობისას, ქუქი-ჩანაწერები შეიძლება მონახულებული ვებსაიტების მიერაც განისაზღვროს. აღნიშნული ვებსაიტები ჩვენ მიერ არ იმართება და შესაბამისად, ამგვარი ქუქი-ჩანაწერების გავრცელებას ვერ ვაკონტროლებთ. მათ შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება მესამე მხარის შესაბამის ვებსაიტზე შეგიძლიათ.

## 8. ქუქი-ჩანაწერების გამოყენების დებულების ცვლილება

წინამდებარე ქუქი-ჩანაწერების გამოყენების დებულება მუდმივად ახლდება და ჩვენ ვინარჩუნებთ უფლებას, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოთ ან ამოვიღოთ ამ დოკუმენტში განსაზღვრული პირობები. კერძოდ, ქუქი-ჩანაწერების გამოყენების ამ დებულებაში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობაში ან შესაბამისი ორგანოების პრაქტიკაში ცვლილებების, კომერციული/კლიენტთა მოთხოვნების ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ახალი რისკების აღმოჩენის შემთხვევაში. წინამდებარე ქუქი-ჩანაწერების გამოყენების დებულების ბოლო განახლების თარიღია: 2013 წლის 10 ოქტომბერი. ქუქი-ჩანაწერების გამოყენების დებულებასთან დაკავშირებული შეკითხვების ან მოსაზრებების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ მისამართზე: customerrelations@wizzair.com. ქუქი-ჩანაწერების გამოყენების ეს დებულება ჩვენს კონფიდენციალურობის დებულებასთან (http://wizzair.com/en-GB/privacy_policy) ერთად მოქმედებს.